



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

7 სექტემბერი 2012 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №187**

**საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ყოველთვიური დამატებითი წარმომადგენლობითი ხარჯების განკარგვაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ**

„ცალკეულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის მოწესრიგების მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივლისის №1467 განკარგულების და „ცალკეულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში საჯარო მოსამსახურის მიერ ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის №295 ბრძანების შესაბამისად:

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ყოველთვიური დამატებითი წარმომადგენლობითი ხარჯების რაციონალურად და გამჭვირვალედ ხარჯვის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში აღნიშნული ხარჯების განკარგვაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვროს:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში – საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამეშვილი;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში - გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ილია ვაშაყმაძე;

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება განისაზღვროს 2013 წლის 1 იანვრამდე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:**

**ალექო მამეშვილი**